თებერვალი, 2017

NEWSLETTER

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
GEORGIAN EMPLOYERS' ASSOCIATION



ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან



ბიზნეს სექტორის შეხვედრა სოფლის მეურნეობის მინისტრთან

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტი

პიარის სტრატეგიები
პროფესიულ განათლებასთან
მიმართებაში

"საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის"

მეოთხე ფორუმი

ბიზნეს სექტორი სოფლის მეურნეობის მინისტრს შეხვდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პროექტის „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ ფარგლებში, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. ლევან დავითაშვილმა პრეზენტაციის სახით წარადგინა 2017 წლის აგრარული დარგის განვითარების ხედვა, რომელიც 5 ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს. ესენია:

- პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება/ეფექტიანობის გაზრდა;
- მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების განვითარება - შემნახველი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის გაფართოება, მოდერნიზაცია;
- სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების სისტემებისა და თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;
- ფერმერთა კომპეტენციების და კონკურენტუნარი-ანობის ამაღლება;
- საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია - ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა;

შეხვედრის მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს აღნიშნული საკითხები და ამ მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებზე იმსჯელეს.

შეხვერდრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი უწყებების ხელმძღვანელი პირები და საქართველოში მოქმედი 80-მდე კომპანიის წარმომადგენელი.

შეხვედრაზე მთავრობის წარმომადგენლებსა და ბიზნესსექტორს შორის გაიმართა დიალოგი, სადაც კერძო სექტორში არსებული პრობლემატური საკითხები განიხილეს.

ბიზნესგაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ პროექტით „ბიზნესის დიალოგი მთავრობასთან“ მხარს უჭერს კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

„საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის“ მეოთხე ფორუმი გაიმართა

20 თებერვალს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მხარდაჭერით გაიმართა „საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის“ რიგით მეოთხე ფორუმი, რომელსაც გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ფორუმზე გაიმართა კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტისა და გამგეობის წევრების არჩევნები, რომლის შედეგები გამოცხადდა შეხვედრის დასარულს და დამტკიცდნენ კანდიდატები 1 წლის ვადით. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოცაციის პრეზიდენტად აირჩიეს გიორგი ბერაია, რომელიც ამ დრომდე იკავებდა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს და ასევე, მუშაობს კერძო კოლეჯ „გეორგიას“ დირექტორის პიზიციაზე. ხოლო საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა წარადგენა „ასოციაციის 2015-2016 წლების ანგარიშს“.

ღონისძიებაზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კახაბერ ერაძის, საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის მიერ გაკეთდა მოხსენებები პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სამომავლო ხედვების შესახებ.

ფორუმს ესწრებოდნენ და დისკუსიის რეჟიმში მონაწილეობას იღებნდნენ კერძო კოლეჯების ხელმძღვანელი პირები და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის საქმიანობის მიზანია პროფესიული განათ ლების ხელშეწყობა და პოპულარიზება, პროფესიული განათლების სფეროში სამართლებრივი რეგულაციების სრულყოფის ხელშეწყობა, განათლების პრიორიტეტების განსაზღვრა, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა და სხვ. ამ მიზნის მისაღწევად კერძო კოლეჯების ასოციაცია, საქართველოს დამსაქმებელთა ასოცაიცია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საერთაშორისო ორგანზიაციები აქტიურად თანამშრომლობენ და ახორციელებენ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს შრომის ბაზრისთვის მისი მოთხოვნის შესაბამისი კადრების მიწოდებას.

შეხვედრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში, სადაც პრეზენტირებული იყო ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტის დებულებები შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინფორმაცია მიეღოთ როგორც საკანონმდებლო სიახლეებზე, ასევე სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ მათთვის აქტუალურ სხვა საკითხებზე.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, რათა წევრ კომპანიებს მაქსიმალურად ოპერატიულად მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ რეფორმის შესახებ რასაც სააგენტო ახორციელებს.

სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა

ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაციაში 4 თებერვალს ჩატარდა კორპორატიული ტრენინგი კომპანია INNOTEL-ის თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების საკითხებში.

ტრენინგი სახელწოდებით „სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა“ დაფუძნებული იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტიზებულ მოთხოვნებს სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობასთან მიმართებაში.

ტრენინგზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები: სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის წესები, თანმიმდევრულობა და პასუხისმგებლობები; მოთხოვნები დაცვის სისტემებისა და აღჭურვილობისადმი; კვანძები და მათი შეკვრა; თოკები და მათი ტიპები (თოკის გადაკიდება); ვარდნისგან დამცავი სისტემები; ზოგადი და სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები; აღჭურვილობის მოვლა; მოთხოვნები კიბეებისადმი (SOP1) და სხვა.

გარდა თეორიული ნაწილისა, ტრენინგის დატვირთული იყო პრაქტიკული სწავლებით, სადაც INNOTEL-ის თანამშრომლებმა სამუშაო ადგილზე გაიარეს სიმულაციური სავარჯიშოები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორს მუდმივად სთავაზობს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კონსულტაციებს, ტრენინგებს, ლიტერატურას და სხვა სახის სერვისებს, რათა კომპანიები მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდენენ შრომის ინპექციის მონიტორინგს.

რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე

ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში

8-9 თებერვალს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებში. კერძოდ, თემაზე - „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე“. აღნიშნული სატრენინგო პროგრამა მომზადებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლის ძირითადი პრინციპებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა შრომის ინსპექცია.

აღნიშნული სატრენინგო პროგრამის მიზანია, საწარმოში/ორგანიზაციაში სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენის, რისკების განსაზღვრის/შეფასების, მათი შემცირების, ან აღმოფხვრის მეთოდებისა და სისტემური მიდგომების შესწავლა.

პროგრამა პრაქტიკული გამოყენებისაა და ასეთი სისტემის დანერგვა ნებისმიერ კომპანიას შეუძლია.აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების პირობებისთანამედროვე სტანდარტების და მიდგომების დანერგვა, საშუალებას იძლევა არა მხოლოდპერსონალის უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ ხელს უწყობს კომპანიის შემოსავლების ზრდას.
ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურადაა ჩართული წევრი კომპანიების სამუშაო გარემოსა და პროცესების ევრო დირექტივების შესაბამისად მორგებაზე, რათა მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ შრომის ინსპექტირების შემოწმებას. ამ მიზნით, ასოაციაცია კომპანიებს სთავაზობს:

- შრომის უსაფრთხოების მენეჯერების გადამზადებას;
- საკონსულტაციო მომსახურებას;
- სამუშაო ადგილზე არსებული საფრთხეების გამოვლენისა და რისკის შეფასების თემატიკაზე პრაქტიკულ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე;
- შრომის ინსპექციის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაში მხარდაჭერას.

ამდენად, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კომპანიების დახმარების მიზნით სისტემატურად აახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით.

სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა

ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ (GEA) ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, კერძოდ, თემაზე „სახანძრო უსაფრთხოება და ხანძართან ბრძოლა“.

ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის შრომის უსაფრთხოების ცენტრის ILO–ს (შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომპანიებისათვის საწარმოებში არსებული სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხდავად მისი სიდიდისა.

ასეთი სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის შედეგებმა. სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვისა და სწავლების მიზანია უზრუნველყოს დასაქმებულთა ჯანმრთელობის და კომპანიის ქონების დაცვა.

ტრენინგის შემდეგ მონაწილეებმა უნდა შეძლონ სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დანერგვა და საევაკუაციო სქემების შემუშავება.

ტრენინგს ესწრებოდნენ საწარმოების/ორგანიზაციების ტექნიკური მენეჯერები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები.
ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები.

ტრენინგის თემატიკა განსაკუთრებით აქტუალურია 2015 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობის #81 დადგენილების საფუძველზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რომლის მიზანია ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება.

ბიზნეს გაერთიანება GEA წევრ და პარტნიორ კომპანიებს სისტემატურად სთავაზობს კადრების გადამზადებას იმ რეგულაციების შესაბამისად, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ადგენს ევროდირექტივების საფუძველზე.

პიარის სტრატეგიები პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტი

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერით ახორციელებს „პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტს“, რომლის მიზანია შრომის ბაზარზე ადეკვატური ადამინური რესურსის კვალიფიკაციის გაძლიერება.

23 თებერვალს აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი თემაზე: „პიარის სტრატეგიები პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში“, რომელსაც უძღვებოდა გერმანიიდან მოწვეული ტრენერი, ნორდმეტალის ციფრული მედიის მენეჯერი დანიელ იაკუბოვსკი.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომპანიების მარკეტინგის, ადამიანური რესუსების და PR მენეჯერებისთვის ორგანიზაციის შიდა პიარის სტრატეგიების გაცნობა თანამშრომლებში მოტივაციის გაზრდისა და მიმზიდველი სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით.

ტრენინგის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ჯგუფურ მუშაობას და კომპეტენტური კადრების მოძიების სირთულეების და მათი გადაჭრის გზების შესახებ დისკუსიას.

ტრენინგს ესწრებოდნენ წარმომადგენლები შემდეგი კომპანიებიდან: გუდვილი, მარშე, დიო, სასტუმროების ქსელი „ამბასადორი“, ვეზირი და ასევე, პროფკავშირები.

ტრენინგის დასასრულს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიშა კორძახიამ მონაწილეებს გააცნო პროექტის შემდგომი აქტივობების შესახებ ინფორმაცია და შესთავაზა მათი კომპანიების ჩართულობის გაზრდა პროექტის მიმდინარეობის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA) პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებს არაერთ პროექტს პროფესიული განათლების წახალისების და პოპულარიზების შესახებ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შრომის ბაზრის გაჯანსაღებას.

კოოპერირების ბაზარი - მოთხოვნა/მიწოდება

პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტი

24 თებერვალს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში „პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის“ ფარგლებში გაიმართა ვორქშოპი თემაზე - კოოპერირების ბაზარი - მოთხოვნა/მიწოდება, რომელსაც უძღვებოდნენ გერმანიიდან მოწვეული ექსპერტები.

აღნიშნული პროექტი, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის მთავრობის მიერ, საქართველოში უკვე ერთი წელია მიმდინარეობს და მასში ჩართული არიან ბიზნეს სექტორი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები. ხოლო აღნიშნული მხარეების კოორდინირებას უზრუნველყოფს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია.

ვორქშოპს ესწრებოდნენ წამორმადგნლები შემდეგი კომპანიებიდან - მინა, გუდვილი, მარშე, დიო და პროფესიული სასწავლებლებიდან - იკარუსი, პანაცეა, გეორგია და აგარის სკოლა-კოლეჯი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ნახსენები კომპანია და სასწავლებელი ჩართულია დუალური სწავლების პროცესში. ამდენად, მათი გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია პროექტის ეფექტურობის გასაზომად.

სამუშაო შეხვედრაზე ჩამოთვლილი კომპანიების HR მენეჯერებმა, პროფესიული სასწავლებლების და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარმომადგენლებმა გერმანელ ექსპერტებთან ერთად მიმოიხილეს ის პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც არსებობს დუალური განათლების დანერგვის პროცესში როგორც სასწავლებლების, ისე ბიზნეს სექტორის კონტექსტში. მთავარ გამოწვევებად და პრობლემურ ასპექტებად გამოვლინდა შემდეგი საკითხები:

• საწარმოებში არ არიან სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ სწავლების მეთოდებს, პედაგოგიკას და დიდაქტიკას;

• უშუალო ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სტუდენტის სამუშაო ადგილზე სწავლებაზე, არ აქვთ სწავლების გამოცდილება;

• სუსტია კომუნიკაცია და კოორდინირებული მუშაობა ბიზნეს სექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის;

• სასწავლებლების ბაზაზე არასაკმარისია პრაქტიკული მეცადინეობები;

• სუსტია პროფესიული განათლების მიწოდების მარკეტინგი საქართველოში.

გარდა აღნიშნული საკითხების განხილვისა, გერმანელმა ექსპერტებმა მონაწილეებს ჩაუტარეს სემინარები შემდეგ თემებზე:

• „პირველადი სამედიცინო დახმარება და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“
• „ეფექტური მარკეტინგი პროფესიულ განათლებასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“

შეხვედრის დასასრულს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიშა კორძახიამ მონაწილეებს გააცნო პროექტის მიმდინარეობის შემდგომი ნაბიჯები და მოუწოდა მასში აქტიურად ჩართვისკენ, რათა მაქსიმალური შედეგის მომტანი იყოს ეს პროექტი საქართველოს შრომის ბაზრის გაჯანსაღებისთვის.

ბიზნეს გაერთიანება GEA
მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73 მობ.: +995 579 555 551
ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA